შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# ინფორმაციის ტექნოლოგია

თბილისი

2018 წელი

## დოკუმენტის დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების ფურცელი

## ინფორმაციის ტექნოლოგიის

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

| დამტკიცების საფუძველი | დამტკიცების თვე, რიცხვი და ნომერი | ცვლილების საფუძველი | ცვლილების დამტკიცების თვე, რივხვი ნომერი | გაუქმების საფუძველი | გაუქმების თვე, რიცხვი და ნომერი | შეცვლილი დანართი თავი/მუხლი/ პუნქტი/ქვეპუნქტი | დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების განმახორციელებელი პირ(ებ)ი, სახელი გვარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარისხის მართვის სამსახურის, შორენა ხუბუნაიას 2018 წლის 19 თებერვლის დასკვნა | 02.03.2018 N018 ბრძანება | -- | --- | -- | --- | -- | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ლაშა იაშვილის 2018 წლის 06 ივნისის N514 სამსახურეობრივი ბარათი | 07.06.2018 N051 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის შორენა ხუბუნაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N887 სამსახურეობრივი ბარათი | 28.09.2018 N113 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: N 4, N6 და N17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 28 თებერვლის წერილისა (№103) და აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის შორენა ხუბუნაიას 2019 წლის 4 მარტის N104 სამსახურეობრივი ბარათი | 05.03.2019 N012 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | აკადემიის დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N119 ბრძანებით შექმნილი შიდა | 17.09.2019 N087 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: N 9, N10, N11, N13 და N16 | ია ერაძე დირექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მონიტორინგის ჯგუფის კოორდინატორის 2019 წლის 9 სექტემბრის №835 სამსახურეობრივი ბარათი | | | | | |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №1254 სამსახურეობრივი ბარათი | 11.10.2019 N132 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: N 2, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13 და N17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2019 წლის 26 ნოემბრის №1504 სამსახურეობრივი ბარათი | 26.11.2019 N165 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: N5 და N17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 2 ივნისის N407 სამსახურეობრივი ბარათი | 02.06.2020 N069 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 მესამე ნაწილში და სწავლების/შეფასების მეთოდები/მიდგომები მოდიფიცირდეს ელექტრონული სწავლების მიზნებისათვის | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 01 ოქტომბრის N00001886 სამსახურეობრივი ბარათი | 02.10.2020 N121 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: № 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 17 მესამე ნაწილში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 23 დეკემბრის N00003675 სამსახურეობრივი ბარათი | 24.12.2020 N212 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 19 ოქტომბრის N00006206 სამსახურეობრივი ბარათი | 19.10.2021 N280 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 05 ნოემბრის N00006813 სამსახურეობრივი ბარათი | 05.11.2021 N309 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა მთლიან პაკეტში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 20 დეკემბრის N000080027 სამსახურეობრივი ბარათი | 24.12.2021 N379 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №5, №15, №16, №17, №18 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2022 წლის 10 იანვრის N00000034 სამსახურეობრივი ბარათი | 14.01.2022 N00000004 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2022 წლის 31 მარტის N00002341 სამსახურეობრივი ბარათი | 06.04.2022 N00000052 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2022 წლის 05 ოქტომბრის N00007850 სამსახურეობრივი ბარათი | 05.10.2022 N00000210 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 11 აპრილის N00003605 სამსახურეობრივი ბარათი | 13.04.2023 N00000053 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 13 ნოემბრის N00014191 სამსახურეობრივი ბარათი | 14.11.2023 N00000339 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 07 დეკემბრის | 08.12.2023 N00000375 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №16 №17 | ია ერაძე დირექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | N00015600 სამსახურეობრივი ბარათი | | | | | |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 09 დეკემბრის N00015652 სამსახურეობრივი ბარათი | 11.12.2023 N00000379 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |
| -- | --- | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2024 წლის 26 მარტის N00002920 სამსახურეობრივი ბარათი | 28.03.2024 N00000068 ბრძანება | -- | --- | ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 | ია ერაძე დირექტორი |

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. **პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology

2. **სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** 06112-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:**

   საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

   აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - *„შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც".*

4. **მიზანი:**
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის - პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს აპარატურული უზრუნველყოფასა და ოპერაციული სისტემების დაყენებას, განახლებას, დაზიანებების აღმოფხვრას, ოპტიმიზაციას, დიაგნოსტირებასა და მომსახურებას; ექნება სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** საბაზო განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

   **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

   - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
   - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ლაშა იაშვილი**

8. **სტრუქტურა და მოდულები:**
   **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული** კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **61 კრედიტი,** რომელთაგან 17 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 44 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 11 თვე. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **61** კრედიტი.

**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული** კვალიფიკაციის მისანიჭებლად არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **76 კრედიტი,** რომელთაგან 32 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 44 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 14 თვე. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **76** კრედიტი.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | | |
| 1. | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2. | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 3. | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 4. | მეწარმეობა 1 | 2 |
| 5. | სამოქალაქო განათლება | 3 |
| 6. | უცხოური ენა (ინგლისური ენა) | 4 |
| | ჯამურად | **17** |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| № | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| 1. | კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა | 7 |
| 2. | კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა | 6 |
| 3. | კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები | 7 |
| 4. | კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა | 7 |
| 5. | მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები | 4 |
| 6. | გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში | 1 |
| 7. | პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში | 6 |
| 8. | დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support | 6 |
| | ჯამურად | **44** |

**9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის შედეგების დადასტურების შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;

- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და გაიაროს შუალედური შეფასება და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი
2. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი
3. სისტემების ადმინისტრატორი

- ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი

**14. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება**

**პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების საფუძველზე:**
- თუ წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ აკადემიის მიერ დადგენილი წესით დაადასტურა ქართული ენის შესაბამისი დონის მოდულის სწავლის შედეგები

**პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია** „მოდულის - ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

დანართები:

დანართი 1 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 1 0610003
დანართი 2 - მოდული ინტერპერსონალური კომუნიკაცია 0030104
დანართი 3 - მოდული რაოდენობრივი წიგნიერება 0020103
დანართი 4 - მოდული მეწარმეობა 1 0410003
დანართი 5 - მოდული სამოქალაქო განათლება 0110004
დანართი 6 - მოდული უცხოური ენა (ინგლისური ენა) 0230101
დანართი 7- მოდული კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა 0611201
დანართი 8 - მოდული კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა 0611202
დანართი 9 - მოდული კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები 0611203
დანართი 10 - მოდული კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა 0611206
დანართი 11 - მოდული მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები 0611207
დანართი 12 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0611204
დანართი 13 - მოდული პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0611205
დანართი 14 - მოდული დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support 0611208
დანართი 15 - მოდული ქართული ენა A2 0110001
დანართი 16 - სასწავლო გეგმა
დანართი 17 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ
დანართი 18 - სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი